



ევროკომისია

ევროკავშირის საგარეო საქმეთა და
უსაფრთხოების პოლიტიკის
უმაღლესი წარმომადგენელი

ბრიუსელი, 5.2.2021

SWD(2021) 18

ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი
ანგარიში საქართველოს მიერ ასოცირების პროცესის განხორციელების შესახებ

ანგარიში საქართველოს მიერ ასოციირების დღის წესრიგის განხორციელების

შესახებ

1. წინასიტყვაობა

განახლებული „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშში განხილულია საქართველოს მიერ ევროკავშირთან გაფორმებული ასოციირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ანგარიში ასახავს პერიოდს ბოლო მოხსენების გამოქვეყნებიდან (2020 წლის 6 თებერვალი) საბჭოს მორიგ სხდომამდე, რომელიც 2021 წლის პირველ კვარტალში გაიმართება.

საქართველო სტაბილურად განაგრძობდა ევროპული გზით მოძრობას, მათ შორის კორონავირუსის პანდემიის გამოწვევების პირობებში.

საპარლამენტო არჩევნები 31 ოქტომბერს და 21 ნოემბერს ჩატარდა. ამ არჩევნების წინ, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლის თანახმად საარჩევნო სისტემა უფრო პროპორციული გახდა და ასევე საარჩევნო რეფორმების პაკეტი, რომელიც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გამოქვეყნებულ ეუთო / ოდირის რეკომენდაციებს ნაწილობრივ ითვალისწინებდა¹. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ოდირის) და ეუთოს, ევროპის საბჭოს და ნატოს საპარლამენტო ასამბლეათა საერთაშორისო დამკვირვებლების წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ ერთობლივი მოხსენების თანახმად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები კონკურენტულ გარემოში ჩატარდა და საერთო ჯამში, ფუნდამენტური თავისუფლებები დაცული იყო. თუმცა, საერთაშორისო დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ არჩევნების ჩატარებაზე გავლენა მოახდინა ამომრჩევლებზე ზეწოლასთან დაკავშირებულმა და მთელი წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში და არჩევნების დღეს მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის ზღვარის ბუნდოვანების შესახებ გავრცელებულმა ბრალდებებმა, რამაც პროცესის ზოგიერთი ასპექტის მიმართ საზოგადოების ნდობა შეამცირა. ოპოზიციამ ეჭვქვეშ დააყენა პირველი ტურის შედეგები, ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნების მეორე ტურს მაჟორიტარულ ოლქებში და ასევე ახალი მოწვევის პარლამენტის საწყის სხდომებს. 2021 წლის დასაწყისში პოლიტიკურმა პარტიებმა პოლიტიკურ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ახალმა პარლამენტმა დაამტკიცა მინისტრთა კაბინეტი პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას ხელმძღვანელობით. მინისტრთა კაბინეტში მხოლოდ ერთი ახალი მინისტრია – იუსტიციის მინისტრი, ხოლო დანარჩენი 11 მინისტრი უცვლელია.

სამოქალაქო საზოგადოება ასოციირების შესახებ შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების მონიტორინგში და ასევე საჯარო დაწესებულებების ანგარიშვალდებულების საკითხში კვლავ ძალიან აქტიურად იყო ჩართული. კორონავირუსის პანდემიის ფონზე, სამოქალაქო საზოგადოებამ გაჭირვებაში მყოფთა მხარდაჭერაში ძალზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

¹ <https://www.osce.org/odihr/elections/georgia/412724>

შენგენის და შენგენის ასოცირებულ ქვეყნებში მოკლევადიანი მოგზაურობისთვის უვიზო რეჟიმი მოქმედებს. 2017 წლის მარტში მისი ძალაში შესვლის დღიდან საქართველოს მოქალაქეების მიერ 1.150.000-ზე მეტი ვიზიტი განხორციელდა. 2020 წლის 10 ივლისს მიღებულმა მესამე ანგარიშმა სავიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის ფარგლებში, დაადასტურა, რომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის ნიშნულების შესრულება კვლავ გრძელდება. თავშესაფრის უსაფუძვლო მოთხოვნების მაღალი რიცხვი კვლავ გამოწვევად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ მათი რაოდენობა 2020 წელს შემცირდა კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული სამოგზაურო შეზღუდვების შემოღების გამო. ამ მიმართულებით საქართველომ ღონისძიებათა რიგი განახორციელა, მათ შორის, 2020 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“.

მნიშვნელოვანი გამოწვევები რჩება მართლმსაჯულების დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საზოგადოების ნდობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ კვლავ დაბალია. 30 სექტემბერს, პარლამენტმა მიიღო შემდგომი საკანონმდებლო ცვლილებები უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების წარდგენის პროცესთან დაკავშირებით, ისე, რომ არ დაელოდა ვენეციის კომისიის შესაბამის მოსაზრებას და სრულად არ მოაგვარა ამ პროცესში არსებული ხარვეზები.

2020 წელს ეკონომიკა არსებით რეცესიაში შევიდა, განსაკუთრებით წლის მეორედან მეოთხე კვარტალამდე და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) პროგნოზით შემცირება 5% -ია².

ევროკავშირი საქართველოს უდიდეს სავაჭრო პარტნიორად რჩება. 2020 წლის პირველი თერთმეტი თვის განმავლობაში ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავაჭრო ბრუნვამ 2.1 მილიარდი ევრო შეადგინა, რაც 12% -ით ნაკლებია 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2020 წლის იანვრიდან ნოემბრამდე ევროკავშირის 27 წევრმა ქვეყანამ საქართველოდან შემოიტანა 671 მილიონი ევროს ღირებულების საქონელი, რაც 16% -ით მეტია 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ამავე პერიოდში ევროკავშირის 27 წევრმა ქვეყანამ საქართველოში 1,443 მილიონი ევროს ღირებულების ექსპორტი განახორციელა (21% -ით ნაკლები ვიდრე 2019 წლის პირველი თერთმეტი თვის განმავლობაში).

ევროპის გუნდის ('Team Europe') ძალისხმევის ფარგლებში, ევროკავშირმა საქართველოს კორონავირუსის პანდემიის დასაძლევად საფუძვლიანი რეაგირებით დაეხმარა და საქართველოს მხარდასაჭერად 183 მილიონი ევროს ოდენობის თანხა გრანტებად გადაამისამართა. გარდა ამისა, ევროკავშირმა საქართველოთვის 150 მილიონი ევროს ოდენობის საგანგებო მაკროფინანსური დახმარება გამოყო, რომლის ნაწილი 2020 წელს უკვე გადმოირიცხა. 2019 წლის ორმხრივი შეთანხმების ფარგლებში პროგრამებისთვის გამოყოფილი თანხა (127 მილიონი ევრო) და 2020 წლის ორმხრივი შეთანხმების ფარგლებში პროგრამებისთვის გამოყოფილი თანხა (102.7 მილიონი ევრო) გადაამისამართდა კოროვირუსით გამოწვეული პრობლემების უკეთესი მოგვარების

² საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიოს ეკონომიკური პერსპექტივა, 2020 წლის ოქტომბერი

მიზნით სამ ძირითად სფეროში: ჯანდაცვის სექტორი, სოციალურ-ეკონომიკური აღდგენა და ყველაზე დაუცველი მოსახლეობის მხარდაჭერა. ევროკავშირის დახმარება მიმართული იქნება მთავრობის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის მხარდაჭერაზე კორონავირუსის პანდემიის გამოწვევების აღმოსაფხვრელად და მასთან ერთად განხორციელდება თანხლები ღონისძიებები გარემოს დაცვის, ჯანდაცვის, სოციალურ-ეკონომიკური აღდგენის, მიგრაციისა და ასევე ადამიანის უფლებების წინ წამოწევის სფეროებში.

ევროკავშირი განაგრძობს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრულ მხარდაჭერას ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, მათ შორის სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ძალისხმევით, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავჯდომარეობისა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ადგილზე 12 წელზე მეტი ხნის განმავლობაში უწყვეტი მუშაობის მეშვეობით.

საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთგული მიმდევარი და მონაწილეა და აგრეთვე მონაწილეობას იღებს მიმდინარე მსჯელობაში აღმოსავლეთ პარტნიორობის მომავლის შესახებ.

2. პოლიტიკური დიალოგი, კარგი მმართველობა და ინსტიტუტების გაძლიერება

2.1. დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კარგი მმართველობა

2020 არჩევნების წელი იყო და საანგარიშო პერიოდში ქვეყანაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები მიმდინარეობდა. მას შემდეგ, რაც 2019 წელს საპარლამენტო უმრავლესობამ არ შეასრულა სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემის შემოღების პირობა, პოლიტიკური პარტიები, უწყვეტი პოლარიზაციის პირობებში, არჩევნების წარმართვის ძირითად წესებზე ვერ შეთანხმდნენ. 8 მარტს, ევროკავშირის, გერმანიის, აშშ-სა და ევროსაბჭოს ელჩების შუამავლობით, საქართველოს პოლიტიკური პარტიების ფართო სპექტრი შეთანხმდა კომპრომისზე 2020 წლის საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით. ივნისში პარლამენტმა მიიღო ცვლილებები კონსტიტუციაში და საარჩევნო კოდექსში, რომლის შესაბამისად დაუყოვნებლივ ინერგებოდა საარჩევნო სისტემა, რომლითაც 1%-იანი ბარიერის პირობებში 120 მანდატი პროპორციული, 30 კი ერთმანდატიანი მაჟორიტარული წესით ნაწილდება (წინა მოდელი 77 პროპორციულ და 73 მაჟორიტარულ მანდატს და 5% ბარიერს ითვალისწინებდა). ახალი სისტემა მიმართავს საქართველოს 2024 წელს სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემის დაგეგმილი შემოღებისკენ, როგორც ეს კონსტიტუციით არის გათვალისწინებული.

საქართველოს პარლამენტმა ასევე მიიღო საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის პაკეტი, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ეუთო / ოდირის მიერ მოცემული რეკომენდაციების შესასრულებლად. ეს პაკეტი მოიცავდა საჯარო მოხელეთა საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლების რეგულირებას, მეორე ტურების წესების განსაზღვრას, 25% გენდერული კვოტის შემოღებას, წესების გაუმჯობესებას საარჩევნო კომისიის წევრების ინტერესთა კონფლიქტის ასარიდებლად და პარტიების დაფინანსების რეგრესიული მოდელის შემოღებას. რეკომენდაციები ამომრჩეველთა

დაშინების, დავების გადაწყვეტასა და კომისიების შემადგენლობასთან დაკავშირებით არ იყო სრულად გათვალისწინებული.

საქართველოში საპარლამენტო არჩევნების პირველი ტური 31 ოქტომბერს განახლებული საარჩევნო სისტემით და ამომრჩეველთა მაღალი აქტივობით ჩატარდა, კორონავირუსის პანდემიის რთული კონტექსტის მიუხედავად. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ოდირის) და ეუთოს, ევროპის საბჭოს და ნატოს საპარლამენტო ასამბლეათა საერთაშორისო დამკვირვებლების წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ ერთობლივი მოხსენების თანახმად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები კონკურენტულ გარემოში ჩატარდა და საერთო ჯამში, ფუნდამენტური თავისუფლებები დაცული იყო. თუმცა, დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ არჩევნების ჩატარებაზე გავლენა მოახდინა ამომრჩევლებზე ზეწოლასთან დაკავშირებულმა და მთელი წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში და არჩევნების დღეს მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის ზღვარის ბუნდოვანების შესახებ გავრცელებულმა ბრალდებებმა, რამაც პროცესის ზოგიერთი ასპექტის მიმართ საზოგადოების ნდობა შეამცირა. საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა საჩივრების და აპელაციების განხილვასთან დაკავშირებით ხარვეზების მთელი რიგი აღნიშნეს. ოპოზიციურმა პარტიებმა 21 ნოემბერს საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურს ბოიკოტი გამოუცხადეს და საბოლოო შედეგი ერთობლივად ეჭვქვეშ დააყენეს; მათ ასევე ბოიკოტი გამოუცხადეს ახალი მოწვევის პარლამენტის პირველ სხდომას. 2020 წლის ბოლოს მდგომარეობით ოპოზიციურმა პარტიებმა ახალი მოწვევის პარლამენტში მანდატების აღებაზე უარი განაცხადეს. 2020 წლის ბოლოს პოლიტიკურ პარტიებს შორის მიმდინარეობდა შეთანხმებული მომავალი ქმედებების პოვნის მცდელობები ევროკავშირისა და აშშ ელჩების შუამავლობით, ისეთი გადაწყვეტილების მიღწევის მიზნით, რომლის შედეგადაც საქართველოს პარლამენტი სრულად წარმომადგენლობითი იქნებოდა.

2020 წლის ბოლოს პარლამენტმა დაამტკიცა მინისტრთა კაბინეტი პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას ხელმძღვანელობით და სამთავრობო პროგრამა მიიღო. მინისტრთა კაბინეტში 11 მინისტრმა თანამდებობები შეინარჩუნა, ახალი მხოლოდ იუსტიციის მინისტრია.

2021 წლის იანვარში „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ის ქართულ პოლიტიკას ტოვებს. პარტიის ყრილობამ ახალ თავმჯდომარედ ირაკლი კობახიძე აირჩია. 2021 წლის იანვარში ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ასევე შეცვალა ხელმძღვანელობა ყოფილი თავმჯდომარის, გრიგოლ ვაშაძის გადადგომის შემდეგ. ახალ თავმჯდომარედ ნიკანორ მელია აირჩიეს.

საქართველოს **მედიაგარემო** კვლავ პლურალისტური და კონკურენტუნარიანია, მაგრამ ასევე ძალზე პოლარიზებული. საქართველომ 2020 წლის მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსის³ მაჩვენებელი შეინარჩუნა და 180 ქვეყნიდან 60-ე ადგილზეა. თავისუფლების სახლის (Freedom House) რეიტინგი ოდნავ შემცირდა და საერთო "თავისუფლების ქულა" 61-ია, ხოლო 2019 წელს მაჩვენებელ 63 იყო⁴.

³ <https://rsf.org/en/georgia>

⁴ <https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2020>

2019 წლის ნოემბერში აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი დირექტორის არჩევას წინ უძღოდა დაპირისპირება და ჟურნალისტების მხრიდან გაფრთხილებები ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკის სამთავრობო განწყობისკენ შეცვლის მცდელობების შესახებ. დაპირისპირება 2020 წლის იანვრისთვის გამწვავდა, როდესაც ტელევიზიის თანამშრომელთა ნაწილმა საკუთარი უფლებების დასაცავად ალტერნატიული პროფკავშირი დააფუძნა. 2020 წლის განმავლობაში წამყვანი ჟურნალისტები და მენეჯერები თანდათანობით გაათავისუფლეს ან მათ არხი დატოვეს. რამდენიმე მათგანმა საქმეები სასამართლოში შეიტანა.

ცვლილებები მაუწყებლობის შესახებ კანონში, რომელიც მათ შორის, აწესებს დამატებით ვალდებულებებს არასრულწლოვნების მავნე ზემოქმედებისაგან დასაცავად 2020 წლის ივლისში მიიღეს. მაუწყებლებმა ცვლილებები გააკრიტიკეს, მოითხოვეს იურიდიული ტერმინების, ისევე როგორც კრიტერიუმების მკაფიო განსაზღვრა, იმისთვის, რომ გასაგები ყოფილიყო, როდის ითვლება გავლენა მავნედ; ასევე ითხოვეს მორატორიუმი სანქციებზე (რომელიც შესაძლოა მოიცავდეს მაუწყებლობის ლიცენზიის შეწყვეტას). საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ (GDI) ცვლილებები საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა.

სექტემბერში ტელეკომპანიამ "ევრონიუს საქართველო" Euronews Georgia სრულფასოვანი მაუწყებლობა დაიწყო.

2020 წლის ივნისში, მედიის უფლებათა დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ მოუწოდა საქართველოს მთავრობას, უზრუნველყო ჟურნალისტების უსაფრთხოება, ტელეკომპანია „მთავარის“ ჟურნალისტის მკვლელობის მიზნით სავარაუდო შეთქმულების შემდეგ⁵.

სამოქალაქო საზოგადოება კვლავ ძალიან აქტიურად იყო ჩართული ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგში, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების ჩათვლით, პოლიტიკის ფორმულირებასა და მთავრობის ანგარიშვალდებულების საკითხში, მათ შორის, ადგილობრივ დონეზე. მთავრობასთან და პარლამენტთან მისი ურთიერთობის ფორმალური მექანიზმები შესაძლოა უფრო გაძლიერდეს. კორონავირუსის კრიზისის დროს სამოქალაქო საზოგადოებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გაჭირვებაში მყოფთა დახმარების უზრუნველყოფაში, რაც სახელმწიფო დახმარებასთან ერთად ხორციელდებოდა.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რაოდენობა ადამიანის უფლებათა საბჭოს შემადგენლობაში გაორმაგდა (ექვსიდან თორმეტამდე) და შეიქმნა ადამიანის უფლებათა საბჭოს მრჩეველთა ჯგუფი, რომელშიც ამჟამად 80-ზე მეტი მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციაა.

სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად აგრძელებდა თავისი სამეთვალყურეო როლის შესრულებას.

2020 წლის გაზაფხულზე მთავრობამ გაატარა სპეციალური ზომები კორონავირუსის კრიზისის დროს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად გადაადგილების

⁵ <https://rsf.org/en/georgia>

შეზღუდვისგან მათი გათავისუფლებისა და სახელმწიფო დახმარების შესახებ ინფორმაციის მიწოდების საშუალებით⁶. პოლიციაში ამგვარი შემთხვევების შესახებ განცხადებების რაოდენობა გაიზარდა⁷.

რაც შეეხება **გენდერულ თანასწორობას**, საქართველოს 2020 წლის ქალებისა და მამაკაცების უთანასწორობის გლობალური ინდექსის მაჩვენებელი 70.8% იყო (2018 წლის 68%-თან შედარებით), რაც პირველად აღემატება მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს 68.6%, და საქართველო 153 ქვეყნიდან 74 ადგილზეა⁸. საქართველოს სტატისტიკის თანახმად, 2020 წლის მესამე კვარტალში მამაკაცების საშუალო თვიურმა შემოსავალმა 1,473 ლარი შეადგინა, ქალებისა კი 978 ლარი⁹.

ივნისსა და ივლისში საქართველოს კონსტიტუციასა და საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, გენდერული მგრძობელობის მიმართ ყურადღება გამახვილდა და შემოღებულ იქნა გენდერული კვოტები ადგილობრივი და ეროვნული არჩევნებისათვის. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის დაცული იყო პარტიების პროპორციული სიის კანდიდატების 25%-იანი კვოტა (კვოტები არ ვრცელდება მაჟორიტარ კანდიდატებზე), თუმცა ქალთა საერთო რაოდენობამ მხოლოდ 20% შეადგინა. პარლამენტში 150 არჩეული დეპუტატიდან 31 ქალია.

სექტემბერში პარლამენტმა შრომის კოდექსში არსებითი ცვლილებები მიიღო. მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მოიცავს ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების შემოღებას, ორსულთა და ახალნაშობიარები ქალების დაცვის დებულებებს, მათ შორის სამუშაო განაწესს ღამის მორიგეობის შემთხვევაში და დროის გამოყოფას სამედიცინო გამოკვლევებისთვის. ცვლილებები ასევე უზრუნველყოფს **დისკრიმინაციისგან** უკეთეს დაცვას, რომელიც მოიცავს ყველა ძირითად განმარტებას (მაგ. პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაცია, შევიწროება) და დისკრიმინაციულ საფუძველზე შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის აკრძალვას. სხვა ცვლილებები გადაჭარბებულ სამუშაო დროს და კოლექტიური გათავისუფლებისგან დაცვის გარანტიებს ეხება.

თებერვალში მთავრობამ ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმის თანასწორობის თავი მიიღო, რომელშიც მითითებულია მთელი რიგი ქმედებებისა, რომელიც განსახორციელებელია სამთავრობო უწყებების მიერ და ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ინტერსექსი (ლგბტი) საზოგადოების წარმომადგენელთა საჭიროებებს ითვალისწინებს.

ქალები და დაუცველი ადამიანები, როგორცაა ეთნიკური უმცირესობების და ლგბტი თემის წარმომადგენლები, პანდემიის განსაკუთრებით მძიმე ზემოქმედებას განიცდიდნენ. მთავრობამ მათთვის კორონავირუსის პანდემიის მძიმე შედეგების შესამსუბუქებლად მიზანმიმართული ძალისხმევა გაატარა.

⁶ კრიზისის პერიოდში საქართველოს მიერ მიღებული ზომების მიმოხილვა ქალთა უფლებებზე კრიზისის ზემოქმედების შესამცირებლად, ევროპის საბჭოში წარდგენილი ანგარიშის მიხედვით: [https://www.coe.int/en/web/genderequality/promoting-and-protecting-women-s-rights#%2263001324%22:\[15\]](https://www.coe.int/en/web/genderequality/promoting-and-protecting-women-s-rights#%2263001324%22:[15])

⁷ ადამიანის უფლებებისა და გენდერის საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველის მონაცემებით.

⁸ http://www3.weforum.org/docs/WEF_GGGR_2020.pdf

⁹ <https://www.geostat.ge/ka>

კორონავირუსის პანდემიამ ასევე **ბავშვები** და ოჯახები გამოწვევების წინაშე დააყენა და მუშაობისა და სწავლის ახალი მეთოდების დანერგვა მოითხოვა. ბავშვთა უფლებების კოდექსი ძალაში 2020 წლის 1 სექტემბერს შევიდა. მასში მოცემულია სამართლებრივი საფუძვლები, უსაფრთხოების ზომები და გარანტიები ყველა საჯარო და კერძო პირისთვის, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით. იგი ყურადღებას ამახვილებს ბავშვის ყველა უფლებისა და თავისუფლების რეალიზებაზე და ძირითადი ყურადღება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ექცევა. კოდექსი ასევე აწესებს მოსამართლეების, როგორც ნეიტრალური და კვალიფიციური ნდობით აღჭურვილი პირების, ზედამხედველობას ბავშვების ოჯახებისგან განმორების შემთხვევებზე.

ბავშვთა მიმართ ძალადობა ოჯახებში, ინტერნატებში, მშვილბელ აღმზრდელებთან¹⁰ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება და დაზარალებული ბავშვების 70% სულ მცირე ერთ ძალადობრივ დისციპლინარულ ზემოქმედებას ექვემდებარება¹¹. ამავდროულად, იზრდება საზოგადოების დარწმუნებულობა ძალადობის შემთხვევების შესახებ კომპეტენტურ ორგანოებში შეტყობინებასთან დაკავშირებით.

არ დასრულებულა ბავშვებზე ზრუნვის დეინსტიტუციონალიზაცია; ჯერ კიდევ მოქმედებს ორი დიდი სახელმწიფო დაწესებულება სადაც მძიმე და სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დაახლოებით 80 ბავშვი ცხოვრობს. მთავრობამ შეიმუშავა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის სერვისი და ორი ასეთი დაწესებულება ამოქმედდა. გაძლიერდა რთული შეზღუდული შესაძლებლობებისა და საჭიროებების მქონე ბავშვთა მშვილბელ აღმზრდელებთან სპეციალიზებული მომსახურების მექანიზმები. 900 – ზე მეტი ბავშვი ცხოვრობს 38 არარეგულირებულ დაწესებულებაში, ძირითადად პანსიონატებში, რომელთაც აფინანსებენ და მართავენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია და მუსლიმთა თემები. პანდემიამ ხელი შეუშალა დეინსტიტუციონალიზაციასთან დაკავშირებული საკოორდინაციო მექანიზმის ეფექტიან ფუნქციონირებას.

ივლისში მიიღეს კანონი **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა** უფლებების შესახებ, რომლის მიზანი იყო ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციასთან. საჭიროა დამატებითი განმარტებები ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად და ასევე საკოორდინაციო კომიტეტის შექმნა.

რაც შეეხება არასათანადო მოპყრობას, სახელმწიფო ინსპექტორის ახალმა სამსახურმა 2019 წლის ნოემბერში საგამოძიებო მოქმედებები დაიწყო და სამართალდამცავი

¹⁰ "ბავშვზე ზრუნვის სისტემის მონიტორინგი - ალტერნატიული მოვლის სპეციალური ანგარიში", სახალხო დამცველის აპარატის მიერ მომზადებული ანგარიში; 2018 წ.

¹¹ 2018 წლის საქართველოს მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (MICS) და 2020 წელს გამოქვეყნებული მეორადი ანალიზის მიხედვით, (ანგარიში ხელმისაწვდომია: <https://www.unicef.org/georgia/reports/2018-georgia-mics-multiple-indicator-cluster-survey>) და https://www.unicef.org/georgia/media/5511/file/Discipline_Report_ENGLISH.pdf)

ორგანოების თამამშრომელთა მიერ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებზე სისხლის სამართლის გამოძიებების რიგი წამოიწყო, რასაც რამდენიმე გასამართლება მოჰყვა.

საჯარო მმართველობის სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით, მთავრობის ახალი განკარგულება¹² და მისი დამხმარე სახელმძღვანელო საჯარო პოლიტიკის შემუშავების შესახებ ქმნის მარეგულირებელ და პროცედურულ საფუძველს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მართებული პოლიტიკის შემუშავებისთვის და სწრაფად გახდა სამინისტროების ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტი. მისი განხორციელება პოლიტიკისა და ბიუჯეტის დაგეგმვას შორის უკეთესი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად კომპლექსურ ტრენინგსა და დახმარებას, და შესაბამის სამინისტროებში შესაფერისი შესაძლებლობების, სტრუქტურებისა და პროცესების შექმნას მოითხოვს. სავალდებულო რეგულაციების გავლენის შეფასების შემოღება კონკრეტული კანონმდებლობისთვის ასევე მნიშვნელოვანი ეტაპია, მაგრამ სათანადო განხორციელებისთვის ვრცელ ტრენინგებს მოითხოვს. 2020 წლის თებერვალში, საჯარო სამსახურის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები საჯარო სამსახურის ვაკანსიების შესავსებად შიდა კონკურსებს ითვალისწინებს, რაც მიზნად ისახავს კარიერული განვითარების შესაძლებლობების გაზრდას და თანამშრომლების დარჩენას თითოეულ საჯარო დაწესებულებაში.

2.2. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა

2020 წელს საქართველოს მაჩვენებელი ევროკავშირის დეკლარაციებისა და საბჭოს გადაწყვეტილებების მიერთებასთან დაკავშირებით იყო 62%, რაც უფრო მაღალია 2019 წლის მაჩვენებელთან - 55% შედარებით. საქართველო კვლავ მონაწილეობდა სამოქალაქო და სამხედრო კრიზისების მართვის ოპერაციებში **საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP)** ფარგლებში და გააგზავნა 32 სამხედრო ევროკავშირის სამხედრო საწვრთნელ მისიაში (EUTM) ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში.

ტერორიზმის გავლენა საქართველოში "ძალიან დაბალია" გლობალური ტერორიზმის ინდექსის მიხედვით (138 ქვეყნიდან 90-ე ადგილი). საქართველო სათანადო ყურადღებას უთმობს ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. საქართველო ამჟამად ანახლებს თავის ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიოლოგიურ და ბირთვულ (CBRN) ეროვნულ სამოქმედო გეგმას და ახორციელებს შესაბამის რეგიონალურ ქმედებებს, როგორცაა CBRN ნარჩენების მართვა და რეგიონული ბიოუსაფრთხოების პროექტი, რაც კორონავირუსის პანდემიასთან ბრძოლის შესაძლებლობებს ზრდის.

კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების საკითხი - 2020 წლის განმავლობაში სიტუაცია თვითგამოცხარებულ რეგიონებთან დაკავშირებით შედარებით სტაბილური იყო. თუმცა, გრძელდებოდა "ბორდერიზაციასთან" დაკავშირებული ქმედებები, კერძოდ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ და იყო დაძაბულობა ჩორჩანა-

¹² საქართველოს მთავრობის დადგენილება N629 "პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" (მიღებულია 2019 წლის 20 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრიდან).

წნელისის რაიონში. 2020 წლის ივლისში განახლდა რეგულარული შეხვედრები ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში (IPRM)¹³ სამხრეთ ოსეთში (ერგნეთის IPRM), მაგრამ აფხაზეთის შეხვედრები (გალის IPRM) შეჩერებული იყო.

ევროკავშირი კვლავ სრულ მხარდაჭერას უწევს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. იგი ასევე აქტიური ფინანსური მხარდაჭერის საშუალებით და სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მეშვეობით ხელს უწყობს კონფლიქტების მოგვარების მცდელობებს. ფიზიკური შეხვედრები შენევის საერთაშორისო დისკუსიების ფარგლებში არ ჩატარდა 2020 წლის 10-11 დეკემბრამდე კორონავირუსის პანდემიის გამო. თუმცა, სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს ქონდა რეგულარული ვირტუალური კონტაქტი შენევის საერთაშორისო დისკუსიების ყველა მონაწილესთან და საანგარიშო პერიოდში მან საქართველოში ექვსი ვიზიტი ჩაატარა. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ თავისი მანდატის განხორციელება კორონავირუსის პანდემიის პირობებში განაგრძო.

კორონავირუსის პანდემიამ გამყოფი ხაზის გასწვრივ გარკვეული თანამშრომლობის განავითარების შესაძლებლობა წარმოშვა, ჯანდაცვასთან დაკავშირებული საკითხების ჩათვლით. მაშინ როდესაც ეს გარკვეულწილად მოხდა აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რეგიონთან მიმართებაში, მათ შორის თბილისიდან დახმარების საშუალებით, ადმინისტრაციული საზღვარი სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რეგიონთან ჰუმანიტარული მიზნებისთვისაც კი დახურული დარჩა.

აფხაზეთის ახალმა *დე ფაქტო* ხელმძღვანელობამ, რომელმაც "თანამდებობები დაიკავა" 2020 წლის აპრილის ბოლოს, ნდობის აღდგენის ზომებისადმი მზარდი ინტერესი გამოხატა, მათ შორის კონკრეტული ქმედებებით. აფხაზეთის *დე ფაქტო* ხელმძღვანელობის ამ სიგნალებმა შესაძლოა მიგვიყვანოს ახალ შესაძლებლობებთან ევროკავშირის არაღიარების და ჩართულობის პოლიტიკის ფარგლებში და პოზიტიურ ნაბიჯებთან კონფლიქტის მოგვარების მიმართებაში.

საქართველოს მთავრობამ დაიწყო საკუთარი ინიციატივის "ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" განხორციელება, რათა ხელი შეუწყოს მშვიდობას და ასევე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებთათვის შექმნას ახალი შესაძლებლობები, მიუხედავად იმისა, რომ გამშვები პუნქტების ხანგრძლივად დახურვამ და კორონავირუსის პანდემიამ ინიციატივის ეკონომიკური კომპონენტის განხორციელებას ხელი შეუშალა.

2.3 მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება

¹³ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრები და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ცხელი ხაზი ძალზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია ადგილობრივი უსაფრთხოების საკითხების მოსაგვარებლად და მხარეებს შორის ნდობის აღდგენის ხელშესაწყობად.

მნიშვნელოვანი გამოწვევები რჩება მართლმსაჯულების დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით.

30 სექტემბერს პარლამენტმა მიიღო შემდგომი საკანონმდებლო ცვლილებები უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების წარდგენის პროცესთან დაკავშირებით. პარლამენტი არ დაელოდა ვენეციის კომისიის მოსაზრების გამოქვეყნებას, აკმაყოფილებდა თუ არა შესწორებების პროექტი ვენეციის კომისიის წინა რეკომენდაციებს¹⁴, მიუხედავად იმისა, რომ მან ეს დასკვნა მეორე მოსმენის შემდეგ მოითხოვა. ვენეციის კომისიის 8 ოქტომბერს მიღებულ გადაუდებელ მოსაზრებაში¹⁵, აღნიშნულია, რომ ცვლილებები სწორი მიმართულებით მიდის, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ თითოეულ ხმას თან უნდა ახლდეს საჯარო წერილობითი დასაბუთება. ამასთან, ვენეციის კომისია ითხოვდა ხმის და დასაბუთების მიმცემი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ვინაობის გამხელას. ეს შექმნის საფუძველს გასაჩივრების ეფექტური მექანიზმისა და საზოგადოების მხრიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცალკეული წევრების ქცევის კონტროლის გაზრდისათვის. გარდა ამისა, ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ ცვლილებაშეტანილი კანონმდებლობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მეორე გადაწყვეტილების მეორე და საბოლოო გასაჩივრებას არ ითვალისწინებს და რომ უზენაესი სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროა პროცედურის შესაჩერებელი მექანიზმი. დეკემბერში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაიწყო უზენაესი სასამართლოს 9 ვაკანსიაზე კანდიდატებან გასაუბრება, 2020 წლის 30 სექტემბერს ცვლილებაშეტანილი წესების შესაბამისად.

სასამართლო რეფორმის მეოთხე ტალღასთან დაკავშირებული ცვლილებები ძალაში 2020 წელს შევიდა. ეს ცვლილებები მოიცავს: დისციპლინურ დარღვევებს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმის რეგულირებას. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვალდებულება, დაასაბუთოს ყველა თავისი გადაწყვეტილება, კვლავ განსახორციელებელია. სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნება შეჩერდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ივლისში მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ. საქართველოს პარლამენტმა ახალი საკანონმდებლო ჩარჩო უნდა მიიღოს.

2020 წელს პროკურატურის რეფორმების ძირითადი ყურადღება გამომძიებლებსა და პროკურორებს შორის ფუნქციების გამიჯვნაზე გამახვილდა. მომზადდა საკანონმდებლო პაკეტი.

სისხლის სამართლის საკითხებთან თანამშრომლობის მიმართებაში, ევროკავშირის სამართლებრივი თანამშრომლობის სააგენტოსთან (Eurojust) თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებამ ინფორმაციის სწრაფი და უსაფრთხო გაცვლა აამოქმედა. საქართველომ გააძლიერა საერთაშორისო სამართალდამცავი თანამშრომლობა ევროპის პოლიციის

¹⁴ გადაუდებელი მოსაზრება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა არჩევისა და დანიშვნის შესახებ, რომელიც 2019 წლის 16 აპრილს გამოქვეყნდა და მიღებული იყო პლენარულ სხდომაზე 21/22 ივნისს ([https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2019\)009-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2019)009-e))

¹⁵ მოსაზრება ორგანული კანონის პროექტზე 2020 წლის 08 ოქტომბერი ([https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2020\)021-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2020)021-e))

სამსახურთან (Europol) და სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტოსთან (CEPOL). რაც შეეხება თანამშრომლობას სამოქალაქო საკითხებთან მიმართებაში, ამ მიმართულებით სიახლეები არ არის, განსაკუთრებით ჰააგის კონვენციების ხელმოწერა / რატიფიცირებასთან დაკავშირებით.

კორუფციის პრევენციასა და მის წინააღმდეგ ბრძოლას რაც შეეხება, ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ შეადგინა სახელმძღვანელო რისკის შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ, რომელსაც სამინისტროები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები (სსიპ) გამოიყენებენ. საჯარო სამსახურის ბიურომ ქონების დეკლარაციის სახელმძღვანელო გამოაქვეყნა დეკლარაციების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ანტიკორუფციული სააგენტოს¹⁶ შექმნის შესახებ არანაირი გადაწყვეტილება მიღებული არ არის. პასუხისმგებლობა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობაზე იუსტიციის სამინისტროდან გადავიდა მთავრობის ადმინისტრაციაში, რამაც კანონმდებლობის რეფორმის გატარებაში დამატებითი შეფერხება გამოიწვია. საპარლამენტო არჩევნების წინ პოლიტიკური შემოწირულობები შემოფოთებას იწვევს სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტის თვალსაზრისით¹⁷.

2019 წლის საერთაშორისო გამჭვირვალობის (Transparency International) კორუფციის აღქმის ინდექსის¹⁸ მიხედვით, საქართველოს მაჩვენებელია 56/100 (მაჩვენებელი 2019 წლიდან სტაბილურია, მაგრამ უფრო ნაკლებია, ვიდრე 2018 წელს - 58/100), რაც ანტიკორუფციული ზომების სტაგნაციაზე მიუთითებს. ანგარიშში ნათქვამია, რომ სამართალდამცავ ორგანოებზე ზედმეტი პარტიული გავლენის გამო ისინი მაღალი დონის კორუფციის შესაძლო შემთხვევების გამოძიებას ფაქტიურად ვერ ახერხებენ. 2019 წლის მსოფლიო ბანკის კორუფციის კონტროლის მაჩვენებელი¹⁹ იყო 74.04 (77/100 – 2017-ში).

2019 წლის 30 ოქტომბერს "ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" კანონის მიღების²⁰ შემდეგ, რომელიც მიზნად ისახავს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის (AML / CFT) ევროკავშირის მეოთხე დირექტივასთან შესაბამისობას, ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა 2020 წლის ივნისში ორი ქვეკანონური აქტი მიიღო²¹.

იანვარში ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს დაქვემდებარებაში დაარსდა **ნარკოვითარების** მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, რომელმაც ფუნქციონირება თანდათან დაიწყო. საკანონმდებლო პაკეტი ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით განსახილველად არის პარლამენტში. საქართველო ნარკოტიკებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ევროპულ ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობას აგრძელებს.

¹⁶ <https://www.transparency.org/en/blog/cpi-2020-georgia-anti-corruption-reforms-stall-political-crisis-state-capture>

¹⁷ <https://idfi.ge/en/idfis-research-political-donations>

¹⁸ <https://www.transparency.org/en/cpi/2019/results>

¹⁹ <https://info.worldbank.org/governance/wgi/Home/Reports>

²⁰ <https://fms.gov.ge/eng/page/laws>

²¹ <https://www.fms.gov.ge/eng/page/regulations>

მიგრაციის სფეროში საქართველო აგრძელებდა მიგრაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას და დეკემბერში მთავრობამ მიიღო მიგრაციის ახალი სტრატეგია 2021-2030 წლებისთვის. **უვიზო მიმოსვლის რეჟიმი** 2017 წლის მარტიდან მოქმედებს. 2020 წლის 10 ივლისს მიღებულმა მესამე ანგარიშმა სავიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის ფარგლებში დაადასტურა, რომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის ნიშნულების შესრულება კვლავ გრძელდება. დაბრუნების მაჩვენებლის შემცირების მიუხედავად, თანამშრომლობა რეადმისიასთან მიმართებაში კარგია. საქართველომ შეიმუშავა კონკრეტული ზომები არალეგალურ მიგრაციასა და დანაშაულთან დაკავშირებული გამოწვევების მოსაგვარებლად, აღსანიშნავია, 2020 წლის სექტემბერში მიღებული კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“, რომელიც 2021 წლის იანვარში შევიდა ძალაში. საჭიროა დაუყოვნებელი მოქმედებები უვიზო მიმოსვლის გამოწვევების მოსაგვარებლად, განსაკუთრებით კი თავშესაფრის უსაფუძვლო მოთხოვნების დიდ რაოდენობასთან დაკავშირებით.

ევროკომისია, იუსტიციის და შინაგან საქმეთა უწყებები, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და საქართველოს ხელისუფლება ერთად მუშაობენ ოპერატიული ქმედებების კომპლექს შემოღებაზე, სავიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის ფარგლებში ანგარიშების რეკომენდაციების შესაბამისად. ეს მოიცავს საინფორმაციო კამპანიების ჩატარებას უვიზო მიმოსვლის რეჟიმით მოსარგებლეთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ და ტრანსსასაზღვრო სამართალდამცავი თანამშრომლობის გაღრმავებას საქართველოდან წამოსული ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების წინააღმდეგ.

საქართველო აგრძელებდა **საზღვრის მართვის** გაუმჯობესების ძალისხმევას და ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოსთან (Frontex) თანამშრომლობას აღრმავებდა. 2020 წლის ივნისში დამტკიცდა ახალი სამუშაო შეთანხმება Frontex-სა და საქართველოს შორის. იგი მიზნად ისახავს არალეგალური მიგრაციისა და საზღვრისპირა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, საზღვრის მართვის სფეროში ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლას, მათ შორის, დაბრუნებასთან დაკავშირებით და ასევე რისკის ერთობლივ ანალიზს. კიდევ უფრო გაფართოვდა სასაზღვრო პოლიციის უსაფრთხოების და სამეთვალყურეო ინფრასტრუქტურა და გაძლიერდა საზღვრის მართვის ინსტიტუტების შესაძლებლობები.

საპოლიციო რეფორმა გაგრძელდა 2019 წლის დასაწყისში შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დასახული პრიორიტეტების შესაბამისად. ეს პრიორიტეტები მოიცავდა პროკურორებსა და გამომძიებლებს შორის როლების, ისევე როგორც სხვადასხვა პოლიციელების ოპერატიული და საგამომძიებო ფუნქციების გამიჯვნას, ანალიზზე დაფუძნებული და საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის გაფართოებას, ცენტრალიზებული ანალიტიკური მუშაობის გაღრმავებას, კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას და უფრო მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობას.

მონაცემთა დაცვის უწყებისადმი საჩივრების რაოდენობის ზრდა მონაცემთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების უკეთეს ინფორმირებაზე მიუთითებს, სადაც უმრავლესობა კერძო სექტორის დაწესებულებებს ეხება. ფარული საგამომძიებო

მოქმედებების რაოდენობა სტაბილური იყო და ისინი ძირითადად სასამართლო განჩინების საფუძველზე ხორციელდებოდა. პარლამენტის მიერ ინიცირებულ იქნა **მონაცემთა დაცვის ახალი კანონი**, მაგრამ დისკუსიების შედეგად შეთანხმებული კანონპროექტი აქამდე ვერ ჩამოყალიბდა. მნიშვნელოვანი იქნება, რომ ახალი კანონპროექტი მონაცემთა დაცვის ზოგად ევროპულ რეგულაციას (GDPR) შესაბამებოდეს.

საქართველოს კიბერ უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2020-2022 წლებისთვის, რომელიც 2019 წელს იყო შედგენილი, მთავრობის მიერ დამტკიცებას ელოდება.

3. ეკონომიკური განვითარება და ბაზრის შესაძლებლობები

3.1. ეკონომიკური განვითარება

2020 წელს ეკონომიკა არსებით რეცესიაში შევიდა, რაც კორონავირუსის პანდემიით იყო გამოწვეული; მეორე კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 12.3%-ით შემცირდა. ბოლო პროგნოზების²² თანახმად, ეკონომიკის ვარდნა დაახლოებით 5%-ს შეადგენს, პირველ რიგში, კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვების, ტურიზმის ჩავარდნის და მოხმარებისა და საგარეო ბაზარზე მოთხოვნათა²³ კოლაფსის გამო. გარდა ამისა, საქონლისა და მომსახურების სფეროში სუფთა ექსპორტის წილი ასევე უარყოფითი იქნება.

ინფლაცია შემცირდა 3.8% –მდე, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2020 წლის სექტემბერში, 7% –დან 2019 წლის დეკემბერში და სავარაუდოდ, 2020 წლის ბოლოს იგი დარჩება სამიზნე მაჩვენებელ 3% –ზე მეტი. კრიზისის გავლენის შემამსუბუქებელი ზომების ღირებულების, გაზრდილი ჯანდაცვის ხარჯების და დაბალი შემოსავლების გამო, 2020 წელს მოსალოდნელი იყო ფისკალური დეფიციტის მშპ-ს დაახლოებით 8.5%-მდე გაზრდა, ბიუჯეტის ივნისში მიღებული ცვლილების შესაბამისად. შეფასებების მიხედვით, სახელმწიფო ვალის შეფარდება მშპ-სთან 2020 წლის ბოლოსთვის 59.9% -ს მიაღწევს²⁴, ე.ი. მიუახლოვდება საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების აქტის 60%-იან მიჯნას (რაც შეიძლება გამართლებული იყოს საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით).

ანალოგიურად, საქართველოს საგადასახდელი ბალანსი ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდა მრავალჯერადი შოკის გამო. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, რომელიც 2019 წელს მშპ-ს 5.1% -მდე შემცირდა, 2020 წლისთვის, სავარაუდოდ, 10% -ზე მეტად გაიზარდება მომსახურების ბალანსის მკვეთრი გაუარესების გამო (ძირითადად ტურიზმის სფეროში). მიმდინარე ანგარიშის გაზრდილი დეფიციტი დაფინანსდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების გაგრძელებით (რომელიც უფრო ნელი იქნება) და, რაც

²² საერთაშორისო სავალუტო ფონდი; საქართველოს მთავრობა

²³https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/34518/9781464816437.pdf?cid=eca_tt_eca_en_ext&clid=IwAR1VwQFONgELZ3ke_FPRAnQQMw_2tD5y4XiwAt7XWg8CpDiLoJw3ViS8mBA

²⁴ წყარო: 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემები

მთავარია, საერთაშორისო პარტნიორების, მათ შორის ევროკავშირის მიერ გაცემული გრანტებისა და შეღავათიანი სესხების გაზრდილი მოცულობით.

2020 წლის მაისში, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოსთვის კორონავირუსის პანდემიასთან გასამკლავებლად დახმარების გამოყოფა დაამტკიცა. საქართველოსთვის საბიუჯეტო დახმარების გამოყოფა (დაახლოებით 200 მილიონი აშშ დოლარი) ხელისუფლებას გადაუდებელი სამედიცინო და სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების გადაწყვეტაში დაეხმარა. საქართველომ ასევე მიიღო დამატებითი დახმარება აზიის განვითარების ბანკისგან, აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკისგან, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან, ევროპის საინვესტიციო ბანკისგან, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკისგან, საფრანგეთის განვითარების სააგენტოსგან და მსოფლიო ბანკის ჯგუფისგან.

საქართველოს სტრუქტურული რეფორმის დღის წესრიგი აისახება ევროკავშირის მაკროფინანსური დახმარების ახალ პროგრამაში (150 მილიონი ევრო), თანდართული შეთანხმებული პირობებით, რომლებიც მიმართულია მმართველობის გაუმჯობესებაზე, მართლმსაჯულების რეფორმის, საჯარო ფინანსების მართვის, შრომის ბაზრისა და ენერგოეფექტურობის ჩათვლით. სექტემბერში იგი პარლამენტის მიერ იყო მიღებული. ამ პროგრამის პირველი ტრანში (75 მილიონი ევრო), ისევე როგორც ევროკავშირის წინამორბედი მაკროფინანსური დახმარების პროგრამის მეორე ტრანში (25 მილიონი ევრო) 2020 წლის 25 ნოემბერს გადმოირიცხა.

საქართველო კვლავ წარმატებულია საერთაშორისო რეიტინგში **ბიზნეს გარემოსთან** დაკავშირებით, მაგალითად, იგი მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების სიმარტივის“ ინდექსის მიხედვით, 7 ადგილზეა მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის. საქართველო მსოფლიოს მოწინავე 10 ქვეყნის რიცხვშია შემდეგი მაჩვენებლებით: ბიზნესის წამოწყება (2); საკუთრების რეგისტრაცია (5) და მინორიტარული ინვესტორების დაცვა (7). მეორეს მხრივ, მას უფრო დაბალი მაჩვენებლები აქვს გადახდისუნაროდ აღიარების პროცედურებთან (64) და საზღვრებს შორის ვაჭრობის (45) მიმართებაში. კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, აგრეთვე სხვა სამართლებრივი რეფორმები (კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ, მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა) იგვიანებდა. ამავდროულად, გამოწვევები რჩება მართლმსაჯულების დამოუკიდებლობასთან, სამართლებრივ დასაბუთებასთან და მიმდინარე გამოძიებებთან დაკავშირებით, რომელიც მსხვილ ბიზნესს მოიცავს, რაც ბიზნეს გარემოზე გავლენას ახდენს.

კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა **სოფლის მეურნეობისთვის** მოითხოვდა 2017-2020 წლებისთვის საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგიის 2020 წლის სამოქმედო გეგმის განახლებას და საჭირო იქნება 2021-2027 წლებისთვის სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგიის 2021-2023 წლებისთვის სამოქმედო გეგმის შემდგომი განახლება. ეს გეგმები მოიცავს ზომებს, რომლებიც მიზნად ისახავს პირველადი წარმოების გაზრდას და სექტორის მედეგობის განვითარებას, ძირითადი საკვები პროდუქტების იმპორტის ფასების სტაბილიზაციას და იმპორტის ბაზრების დივერსიფიცირებას. სოფლის მეურნეობის

სექტორი კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული კრიზისის მიმართ ერთ-ერთი ყველაზე მდგრადი აღმოჩნდა.

მთავრობამ დაიწყო **საპილოტე ინტეგრირებული რეგიონალური განვითარების პროგრამის** განხორციელება, რომელიც ევროკავშირის სამიზნე რეგიონებზეა მიმართული (კახეთი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი). ღია და კონკურენტუნარიანი პროექტების განაცხადების წარდგენაზე გამოცხადებული კონკურსების საშუალებით, ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების ღონისძიებებისთვის 11 მუნიციპალიტეტმა 5 მილიონი ლარის ოდენობის დაფინანსება მიიღო. 2019-2025 წლებისთვის **დეცენტრალიზაციის სტრატეგიის** განხორციელებაში მიღწეული წინსვლა, რომელიც დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებსა და კვლევებს ითვალისწინებს, კორონავირუსის პანდემიის აფეთქების გამო შეიზღუდა.

2020 წელს **სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის რეფორმას** მნიშვნელოვანი პროგრესი არ განუცდია.

სახელმწიფო აუდიტის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების პროექტი, რომელიც სახელმწიფო აუდიტის მანდატს ბიუჯეტის სამომსავლო ნაწილზე ავრცელებს, წარედგინა პარლამენტს, თუმცა მას 2020 წლის ბოლოდროინდელი მონაცემებით კენჭი არ ეყარა.

საგადასახადო სისტემის მიმართულებით, გრძელდება მუშაობა კანონმდებლობის დაახლოებაზე არაპირდაპირი გადასახადების სფეროში, კერძოდ, დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) და აქციზის გადასახადის მიმართებაში.

გაგრძელდა **სტატისტიკის** ეროვნული სისტემის გაძლიერება, სტატისტიკურ სფეროებში ევროპულ და საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, მათ შორის საგარეო სექტორის სტატისტიკის, ეროვნული ანგარიშების, ბიზნესის სტატისტიკისა და სოციალური სტატისტიკის მიმართულებით.

რაც შეეხება **სამრეწველო და სამეწარმეო პოლიტიკას**, მთავრობამ განაგრძო მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგიის განხორციელება. 2020 წლის მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსის²⁵ მიხედვით, საქართველო მეტად წინ წავიდა და მკვეთრად გააუმჯობესა მცირე და საშუალო ბიზნესის საოპერაციო გარემო. ანგარიში განსაკუთრებით მიესალმება წინსვლას სამეწარმეო განათლებისა და ქალთა მეწარმეობაში, ბიზნესის რეგისტრაციის გამარტივებას და ელექტრონული მმართველობის სერვისების ზრდას.

კორონავირუსის პანდემიის შედეგად მიღებული ეკონომიკური გამოწვევების გადასაჭრელად, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის სააგენტომ (Enterprise Georgia) თავისი პროგრამების ადაპტირება მოახდინა. სააგენტომ თავისი პროგრამები გააფართოვა და პრიორიტეტული სექტორების დივერსიფიკაცია მოახდინა, მაგალითად დამატებითი ყურადღება მასპინძლობისა და ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაზე გაამახვილა. მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამა 40 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

²⁵ <https://www.oecd.org/science/sme-policy-index-eastern-partner-countries-2020-8b45614b-en.htm>

ამჟამად საქართველოში მომხმარებელთა დაცვის ერთიანი ჩარჩო არ არსებობს. მარეგულირებელი ორგანოები, რომელიც ფინანსურ, კომუნიკაციურ და ენერგეტიკულ სექტორებს მოიცავენ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ზომებს შესაბამის სექტორებში ახორციელებენ. ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო სამომხმარებლო პროდუქციის უვნებლობასთან დაკავშირებულ ტექნიკურ რეგლამენტებს უზრუნველყოფს. საქართველომ შეიმუშავა მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონი, რომლის მიღება 2020 წლის ბოლოს მონაცემებით ჯერ არ მომხდარა.

რაც შეეხება მეთევზეობას, საქართველო აგრძელებს თანამშრომლობას სოფიას დეკლარაციის²⁶ ფარგლებში და თევზჭერის ახალი მართვის დანერგვას. მის წყლებში თევზჭერის მონიტორინგის, კონტროლისა და მეთვალყურეობის დონე არ არის ბოლომდე საკმარისი. საქართველო ევროკავშირთან შავი ზღვის ტრადიციული თევზის მარაგების რეგიონალური მართვის ზომების გადასინჯვის მიმართულებით მჭიდროდ თანამშრომლობს.

2020 წლის მაისში საქართველომ მიიღო კანონი აკვაკულტურის შესახებ. ეს კანონი განსაზღვრავს აკვაკულტურის ზონების განაწილებას სანაპირო რაიონებში და შიდა წყლებში; იგი ადგენს ნებართვების გაცემის პირობებს; და ქვეყნის მასშტაბით აკვაკულტურის ობიექტებს არეგულირებს. მთავრობამ აკვაკულტურის პროდუქტები შეიყვანა პრიორიტეტული პროდუქტების ჩამონათვალში, რომლისთვისაც საჭიროა ნებართვა ევროკავშირის ბაზარზე დასაშვებად.

საქართველო აგრძელებს ევროკომისიასთან აქტიურ თანამშრომლობას უკანონო, არადეკლარირებული და დაურეგულირებელი (IUU) თევზჭერის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრაზე. მიღწეულია პროგრესი გემების სახელმწიფო რეესტრიდან გემების რეგისტრაციიდან მოხსნასთან დაკავშირებით. გრძელდება შავი ზღვის ფარგლებს გარეთ მოქმედი საქართველოს ფლოტის მიერ თევზჭერისა და თევზჭერასთან დაკავშირებული საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს მიღების პროცესი.

საზღვაო სექტორის თვალსაზრისით საქართველომ ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული 22 დირექტივისა და რეგულაციიდან 16 შეასრულა. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო ამჟამად დარჩენილი დირექტივების ამოქმედებაზე მუშაობს.

საქართველო შავი ზღვის საერთო საზღვაო დღის წესრიგის²⁷ ხელმძღვანელი ჯგუფის შეხვედრებში, და ასევე ლურჯი ეკონომიკის სექტორებზე კორონავირუსის პანდემიის ზეგავლენის, მომავალ ფლაგმანურ პროექტებსა და მასთან დაკავშირებულ საინვესტიციო პერსპექტივების განხილვაში აქტიურად მონაწილეობს.

ტურიზმი, რომელიც წინა წლებში სტაბილურად მზარდი ინდუსტრია იყო და 2019 წელს მშპ-ს 8.1%-ს მიაღწია²⁸, კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა სერიოზულად დააზარალა. იანვრიდან სექტემბრამდე 1,369,086 საერთაშორისო ვიზიტი

²⁶ <http://www.fao.org/gfcm/meetings/blackseaconference2018/sofiadeclaration/en/>

²⁷ https://ec.europa.eu/maritimeaffairs/press/black-sea-ministers-endorse-common-maritime-agenda_en

²⁸ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წინასწარი ინფორმაცია

განხორციელდა, რაც 77,1%-ით ნაკლებია 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით²⁹.

მწარმოების შესახებ კანონპროექტი (“კორპორაციული კანონი”) პარლამენტს 2020 წლის სექტემბერში წარედგინა. მისი მიზანია ერთის მხრივ კორპორატიული ურთიერთობების უფრო დეტალურად მოწესრიგება და ამით სასამართლო დავების შემთხვევაში სამართლებრივი დასაბუთების გაზრდა, ხოლო, მეორე მხრივ, სამართლებრივი ჩარჩოს დაახლოება ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან. 2021 წლის იანვრის მონაცემებით, ამ კანონის მიღება ჯერ არ მომხდარა.

ფინანსური მომსახურების კუთხით, საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო და არასაბანკო სისტემების, გადახდების, კაპიტალისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების და ზედამხედველობის ჩარჩოებს აძლიერებს. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური ატარებს ზომებს **სადაზღვევო** სექტორის გადახდისუნარიანობის და მომგებიანობის გაზრდისა და სადაზღვევო პროდუქტების დივერსიფიკაციის მიზნით.

საინვესტიციო კლიმატის, ადგილობრივი ბიზნესების კონკურენტუნარიანობის და დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს თავისი კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ ევროკავშირისა და საერთაშორისო პრაქტიკებთან, განსაკუთრებით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოჰყავს. ფინანსური ანგარიშგების გარდა, ხდება არაფინანსური ანგარიშგების, მათ შორის კორპორატიული მართვის შესახებ ანგარიშგების, წახალისება.

რაც შეეხება **დასაქმებას**, უმუშევრობის ნელი შემცირების ტენდენციაზე უარყოფითად იმოქმედა კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა. 2020 წლისთვის გამოყენებულია თვითდასაქმებული ადამიანების დათვლის ახალი მეთოდიკა, რომელიც აღარ ითვალისწინებს იმ პირებს, ვინც ნატურალურ მეურნეობას ეწევა. შედეგად, ეროვნული მასშტაბით უმუშევრობის დონე 2019 წლისთვის გადაანგარიშდა 17,6% -ზე, ნაცვლად 11,6% -ისა. 2020 წლის პირველი ორი კვარტლის განმავლობაში მან 18,3% -ს მიაღწია, ხოლო მესამე კვარტალში 17% -მდე შემცირდა.

დასაქმების ხელშეწყობის სააგენტო, რომელიც დასაქმების სერვისებს სოციალური მომსახურებისგან განაცალკევებს, 2020 წლის დასაწყისიდან ფუნქციონირებს. ამჟამად სათავო ოფისი და 10 რეგიონალური ოფისი, საიდანაც 5 თბილისში არის განლაგებული, სრული დატვირთვით მუშაობს, 2 რეგიონალური ოფისი ნაწილობრივ, ხოლო 3 ოფისის ამოქმედება მოსალოდნელია 2021 წლის პირველ ნახევარში. ეს ძირითადად არის განპირობებული კორონავირუსის პანდემიით, რომლის გამო დაგვიანდა საჭირო პერსონალის დაქირავება და ასევე დრო დასჭირდა მომსახურების ონლაინ რეჟიმში გადყვანას. ივლისში დამტკიცდა კანონი „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“, რომელიც გარკვეულ საკანონმდებლო ხარვეზებს აგვარებდა და საქართველოში დასაქმების სახელმწიფო სამსახურის დებულებას განსაზღვრავდა.

²⁹ წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

შრომის კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანასთან ერთად, 2020 წლის სექტემბერში დამტკიცდა კანონი „შრომის ინსპექციის შესახებ“, რომელმაც შრომის ინსპექციის მანდატი გააფართოვა და (ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხების გარდა) შრომის უფლებები და პირობები მოიცვა და მისი სტატუსის შეცვლის შედეგად შრომის ინსპექცია სამინისტროს დაქვემდებარებული, უფრო დამოუკიდებელი სააგენტო გახდა.

კორონავირუსის პანდემიის დროს, **მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა (TSA)** გაფართოვდა, იმისთვის რომ უზრუნველყო დროებითი ფულადი შემწეობა უკიდურეს სიღარიბეში მყოფი ოჯახებისთვის, იმ ადამიანებისთვის, ვინც პანდემიის გამო სამუშაო დაკარგა, და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის. მცირედით გაიზარდა საპენსიო ფონდიც. პარლამენტმა **საპენსიო ინდექსაციასთან** დაკავშირებული შესწორება მიიღო, რომელიც სახელმწიფო პენსიების ინდექსაციის წესზე დაფუძნებულ მექანიზმს ნერგავს და 2021 წლის იანვრიდან პენსიების გაზრდისკენ არის მიმართული.

კორონავირუსის პანდემიის აფეთქების გამო საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ სტრატეგიაზე მუშაობა გადაიდო. მიმდინარეობს მუშაობა ელექტრონული ჯანდაცვის სისტემის მიმართებაში, მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად და ჯანდაცვის სისტემაში უთანასწორობის შესამცირებლად. 2019 წელს დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1,000 მშობიარობაზე 28,9 იყო. დეკემბრის ბოლოსთვის, კორონავირუსის შემთხვევების საერთო რაოდენობამ 227,420 შეადგინა, აქედან 2,505 შემთხვევა ფატალური შედეგით დასრულდა და 211,727 პაციენტი გამოჯანმრთელდა. ევროკავშირის ღირებულებების შესაბამისად საქართველო ასევე სისხლის უსაფრთხოების, ქსოვილის გადანერგვისა და ჯანსაღი გარემოს და თამბაქოს კონტროლის საკითხებზე მუშაობს.

3.2. ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები

2020 წლის პირველ თერთმეტ თვეში, ევროკავშირისა და საქართველოს შორის სავაჭრო ბრუნვამ 2.1 მილიარდი ევრო შეადგინა, რაც 12%-ით ნაკლებია 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2020 წლის იანვრიდან ნოემბრამდე ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნის იმპორტი საქართველოდან 671 მილიონი ევროს ღირებულების საქონელი იყო, რაც 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 16%-ით მეტია. ამავე პერიოდში ევროკავშირის 27 წევრმა ქვეყანამ საქართველოში 1,443 მილიონი ევროს ღირებულების საქონლის ექსპორტი მოახდინა (რაც 21% -ით ნაკლებია, ვიდრე 2019 წლის პირველი თერთმეტი თვის განმავლობაში)³⁰.

ვაჭრობაში ტექნიკურ ბარიერებთან დაკავშირებით, საქართველო ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას განაგრძობს. საქართველომ 16,000 სტანდარტი მიიღო, საიდანაც 8,000 ევროპულ სტანდარტს წარმოადგენს, და მოახდინა სტანდარტების მონაცემთა ბაზის ევროკავშირის შესაბამის ბაზასთან სინქრონიზაცია. მეტროლოგიასთან დაკავშირებით, განახლდა ლაბორატორიული აღჭურვილობა და გაძლიერდა პერსონალის შესაძლებლობები. საქართველოს აკრედიტაციის ცენტრი ლაბორატორიის აკრედიტაციის საერთაშორისო თანამშრომლობის (ILAC) წევრობისთვის ემზადება.

³⁰ ევროსტატი COMEXT, EU27.

ახლად შექმნილი ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო აქტიურად მუშაობს ევროკავშირის შესაბამის კანონთა კრებულთან (acquis) დაახლოებული ტექნიკური რეგლამენტების აღსრულებაზე.

სურსათის უვნებლობისა და სანიტარული და ფიტოსანიტარიული სტანდარტების მხრივ, საქართველომ 2027 წლისთვის გათვალისწინებული ევროკავშირის სოფლის მეურნეობის 272 იურიდიული ინსტრუმენტიდან 169 ვეტერინარულ, ფიტოსანიტარიულ და სურსათის უვნებლობის რეგულაციასთან დაახლოება შეასრულა.

2021-2027 წლებისთვის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის სურსათის უვნებლობის სტრატეგიის განხორციელების გეგმა 2020 წლის სექტემბერში დასრულდა. მაგრამ, 2021 წლის იანვრის მონაცემებით მისი დამტკიცება ჯერ არ მომხდარა.

რაც შეეხება ევროკავშირის ბაზარზე ქართული პროდუქციის დაშვებას, 2020 წლის განმავლობაში გარკვეული წინსვლა შეინიშნებოდა. სულ ახლახანს, 2020 წლის ნოემბერში, ევროკომისიამ დაუშვა შინაური ცხოველების დამუშავებული საკვების საქართველოდან შემოტანა³¹. 2021 წლის დასაწყისიდან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო განიხილავს და ამუშავებს ევროკავშირის კომენტარებს საქართველოს აკვაკულტურის ნარჩენების მონიტორინგის გეგმასთან დაკავშირებით.

ახალი **საბაჟო კოდექსი**, რომელიც საბაჟო საქმიანობის მთავარ საკანონმდებლო ჩარჩოს წარმოადგენს, განხორციელების ფაზაში შევიდა.

შეინიშნებოდა შემოსავლების სამსახურის წინსვლა ტრანზიტის საერთო პროცედურის შესახებ ევროკავშირის კონვენციასთან მიერთებასა და ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის ამოქმედებაში. საქმიანობა მოიცავდა სატრანზიტო პროცედურების შემუშავებას, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამომავლო დიზაინის მოთხოვნების განსაზღვრას და სასწავლო პროგრამებისა და მოდულების შემუშავებასა და განხორციელებას.

საქართველო განაგრძობს **კონკურენციის** შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების დებულებების განხორციელებას, და კონკურენციის შესახებ კანონში ცვლილებები შეიტანა³². ეს ცვლილებები კონკურენციის სააგენტოს კონცენტრაციების კონტროლის პროცედურულ ნორმებსა და მექანიზმებს, ისევე როგორც მის სტრუქტურულ მოწყობას ცვლის. ისინი ასევე განსაზღვრავენ კომპეტენციებს სააგენტოსა და მარეგულირებელი ორგანოებისთვის, როგორცაა საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია და საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია³³.

საფოსტო და საკურიერო მომსახურებებთან დაკავშირებით, საქართველო საფოსტო პოლიტიკის შემუშავებას და შესაბამის რეფორმებს აგრძელებს.

³¹ წყარო: COMMISSION REGULATION (EU) 2020/1720, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32020R1720&from=EN>.

³² <https://competition.ge/media/press-releases/139?fbclid=IwAR0QyMErGWfW93h6-L5r9ILggibyB5iQQScRppbR5ZQWb8kZK6efsqWWg>; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4990278?publication=0>

³³ <https://competition.ge/media/press-releases/139?fbclid=IwAR0QyMErGWfW93h6-L5r9ILggibyB5iQQScRppbR5ZQWb8kZK6efsqWWg>

რაც შეეხება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების **გამჭვირვალობას**, ადგილობრივი მეწარმეებისთვის და მედიის წარმომადგენლებისათვის სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო ჯგუფის ფორმატში ბევრი მრგვალი მაგიდა ჩატარდა. მხარეებმა გარემოს, მათ შორის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქმედებებისა და შრომის დაცვის მიმართებაში შესაბამისი ღონისძიებები განსაზღვრეს.

საქართველო აგრძელებს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში კანონმდებლობის ევროკავშირის კანონთა კრებულთან (acquis) ჰარმონიზაციას და შეასრულა სახელმწიფო შესყიდვების საგზაო რუქის I ფაზისთვის გათვალისწინებული ძირითადი მოთხოვნები. ივლისში, პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები, რომლის საფუძველზეც, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების მოთხოვნის შესაბამისად, შეიქმნება ახალი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანო, რომელიც სატენდერო პროცედურებთან დაკავშირებულ დავებს მოაგვარებს.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და აღსრულების სისტემის მხრივ, საქართველომ წარმატებით განავითარა რეფორმები, რათა ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული კანონები ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისი ყოფილიყო. სასაქონლო ნიშნებზე ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ამოწურვის ეროვნული რეჟიმი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების დებულებებს ამჟამად არ შეესაბამება. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქპატენტი" გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საქმიანობას აგრძელებდა. ჯერ კიდევ გაჩერებულია გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვისა და ხარისხის კონტროლის შესახებ სამართლებრივი ჩარჩოს გადახედვის პროცესი ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ტრანსპორტი, ენერგოეფექტურობა, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქმედებები, გარემოს დაცვა და სამოქალაქო დაცვა

რაც შეეხება ტრანსპორტს, შეთანხმება ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ საქართველოსა და ევროკავშირის შორის ძალაში 2 აგვისტოს შევიდა, მისი ხელმოწერიდან და დროებითი გამოყენებიდან ათი წლის შემდეგ. ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს მიერ 2020 წელს დაგეგმილი საქართველოს მეზღვაურთა განათლების სისტემის ხელახლა შეფასება 2021 წლამდე გადაიდო. საგზაო უსაფრთხოების გაძლიერება კვლავ მნიშვნელოვანია. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა, რომელიც ინდიკატური ტრანს-ევროპული სატრანსპორტო ქსელის (TEN-T) საინვესტიციო სამოქმედო გეგმის ნაწილია, ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან (ADC) ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ გადაიდო.

გარემოს დაცვის მიმართულებით, მთავრობამ ივლისში დაამტკიცა კანონპროექტი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ და პარლამენტს მისაღებად წარუდგინა. მისში პარლამენტმა მიიღო კანონი „გარემოს ხარისხის დაცვის შესახებ“, რომლის მიზანია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა ჰაერის ხარისხთან დაკავშირებით. მთავრობა მწარმოებელთა გაფართოებული ვალდებულებების კონცეფციას თანდათან ახორციელებს, მიღებულია სპეციფიური ნარჩენების ნაკადებთან დაკავშირებული ოთხი ტექნიკური რეგულაცია,

რომელიც ძალაში სექტემბრიდან შევიდა. შეფერხდა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი სანიტარული ნაგავსაყრელების მშენებლობა. მაისში მიღებულ იქნა ახალი ტყის კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს ტყის მდგრადი მართვისთვის სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას.

რაც შეეხება **კლიმატის ცვლილებასთან** დაკავშირებული ქმედებებს, საქართველოს ჯერ კიდევ არ მიუღია დაბალემისიებიანი განვითარების სტრატეგია (LEDS) და მისი ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილი (NDC), როგორც ამას პარიზის ხელშეკრულება მოითხოვს. საქართველოს ინსტიტუციური სტრუქტურა კლიმატის ცვლილების საბჭოს შექმნის გზით გაუმჯობესდა. მიღებულ იქნა კანონმდებლობა ფტორის შემცველ აირებთან დაკავშირებით, მაგრამ კიგალის შესწორება მონრეალის ოქმში ჯერ კიდევ არ არის რატიფიცირებული.

მაისში ენერგოეფექტურობისა და შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ კანონების მიღებით საქართველომ **ენერგეტიკის** სფეროში ენერგოეფექტურობის პოლიტიკის განხორციელებას საფუძველი ჩაუყარა. 2019 წელს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ ახალი კანონის მიღების შემდეგ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განაგრძო ენერგეტიკის სექტორის მეორადი კანონმდებლობის შემუშავება, რომელიც აუცილებელია ბაზრის ლიბერალიზაციისთვის, ევროკავშირის მესამე ენერგეტიკული პაკეტის შესაბამისად. 2020 წლის ნოემბერში ენერგეტიკის საზოგადოების სამდივნოს შეფასებით, საქართველოს მიერ ენერგორესურსებთან დაკავშირებული კანონთა კრებულის (acquis) განხორციელების საერთო დონე 36% იყო. ეს 2019 წლის მონაცემებთან შედარებით 11% -იან ზრდას წარმოადგენს. მთავრობა ყურადღებას ამახვილებს ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის მხარდაჭერასა და ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის გაფართოებაზე, მათ შორის შავი ზღვის მასშტაბით, მიწოდების უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად და ელექტროენერჯის საბითუმო გაცვლისა და ექსპორტის განვითარების ხელშესაწყობად.

რაც შეეხება **სამოქალაქო დაცვას**, საქართველო აგრძელებს ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის ძალისხმევას. 2020 წლის 14 აგვისტოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის ღონისძიებები სამოქალაქო დაცვის სფეროში.

5. მობილურობა და ადამიანებს შორის კავშირები

მთავრობა ახორციელებს ახალ **საგანმანათლებლო** პროგრამას, მაგრამ ნაბიჯები დასახული მიზნისკენ, რომ 2022 წლისთვის მისი სახელმწიფო დაფინანსება თანდათანობით მშპ-ს 6% -მდე გაიზარდებოდა, შეფერხდა კორონავირუსის პანდემიის აფეთქების გამო.

საქართველო განაგრძობს **პროფესიული განათლების და გადამზადების** რეფორმას პროფესიული განათლების და გადამზადების შესახებ კანონის მიღებისა და მისი ქვეკანონური აქტების ეტაპობრივი მიღების შემდეგ. 2021 წლის განმავლობაში დაგეგმილია ქვეყნის მასშტაბით ზოგად განათლებაში პროფესიული განათლების და გადამზადების ეტაპობრივი განვრცობის გაგრძელება. უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების მიერ მოკლევადიანი სასწავლო პროგრამების დანერგვამ დიდი წინსვლა განიცადა. რამდენიმე უნივერსიტეტმა დაიწყო ტექნიკური განათლებისა და გადამზადების პროგრამების უზრუნველყოფა, რომლებიც პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის ნაწილს წარმოადგენს.

2020 წელს საქართველო წარმატებულად მონაწილეობდა **ერასმუს+** პროგრამაში, 7 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს ინსტიტუციური განვითარების (CBHE) 7 პროექტით, 11 პროექტით ჟან მონეს პროგრამის ფარგლებში, ერასმუს მუნდუსის საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამის 28 სამაგისტრო სტიპენდიით. 2020 წელს გაიცა 2888 საერთაშორისო კრედიტების მობილობის პროგრამის სტიპენდიები (1193 სტუდენტისთვის და 1965 აკადემიური პერსონალისთვის). ამ ციფრებით საქართველომ ტოპ 10 პარტნიორ ქვეყანას შორის თავისი ადგილი შეინარჩუნა.

საქართველომ გააგრძელა თავისი აქტიური მონაწილეობა **აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის** დაფუძნებაში, და უკვე შედგა მისი სტუდენტების პირველი გამოშვება. ჯამში, აქამდე ევროკავშირის სტიპენდიები 105 სტუდენტმა მიიღო. მთავრობამ განაგრძო მუშაობა თბილისში ევროპული სკოლის პროექტის მეორე ფაზისთვის სრულფასოვანი საშუალო სკოლის შესაქმნელად.

კულტურის სფეროში პროექტების და საქმიანობის დაფინანსების მექანიზმების და მეთოდოლოგიის გაუმჯობესების კუთხით საქართველოს წინსვლა შეინიშნება. საქართველოში ჯერ კიდევ არ არის კულტურის სტრატეგიის ეფექტიანი განხორციელება და მონიტორინგი, ასევე კულტურის ინდუსტრიების საერთო ეკონომიკურ სტრუქტურაში ინტეგრირება.

სპორტის სფეროში საქართველო მონაწილეობს ერასმუს+ პროგრამის ერთ – ერთ შერჩეულ წარმატებულ პროექტში. გარდა ამისა, საქართველო მესამედ ჩაერთო „ევროპის სპორტის კვირეულში საზღვრებს მიღმა“.

საქართველო განაგრძობს კანონმდებლობის ჰარმონიზებას ევროკავშირის კანონთა კრებულთან (acquis) **აუდიოვიზუალური მედია სერვისების** შესახებ. ივლისში საქართველომ შეიტანა ცვლილებები მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონმდებლობაში, რომლის განხორციელება საჭიროა მედიის პლურალიზმის, სიტყვის თავისუფლებისა და მედიასაშუალებების თვითრეგულირების პრინციპების შესაბამისად. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მედიასთან დაკავშირებული ცოდნის ამაღლების, განვითარების და მონიტორინგის ფუნქცია დაეკისრა. იანვარში მიღებული ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების ეროვნული სტრატეგია მიმართულია კავშირზე, ციფრულ ინფრასტრუქტურაზე და ციფრულ წიგნიერებასა და უნარებზე.

ახალგაზრდობის სააგენტო ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებას, განხორციელებას და კოორდინაციას, ასევე საქართველოში ახალგაზრდული სექტორის რეფორმას ხელმძღვანელობს. 2019 წლის ბოლოს მან წარმოადგინა სამწლიანი რეფორმის გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს კარგად მომუშავე ახალგაზრდული სექტორის შექმნას. **ახალგაზრდობის ეროვნული სტრატეგია 2025** წლისთვის ფართო საზოგადოებრივი და რეგიონული კონსულტაციების ჩართვით მზადდება.

ახალგაზრდობის სფეროში, 2020 წარმატებული წელი იყო ერასმუს+ და ევროპის სოლიდარობის კორპუსის თვალსაზრისით, სადაც 30 ახალგაზრდამ საქართველოდან მონაწილეობა მიიღო პოლიტიკის რეფორმის მხარდასაჭერის კუთხით, 1,875 მონაწილე ჩართული იყო მობილობასთან დაკავშირებულ საქმიანობაში და განხორციელდა 2 სტრატეგიული პარტნიორობის პროექტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ორგანიზაციები საქართველოდან. სოლიდარობის კორპუსის ფარგლებში 459 ახალგაზრდა საქართველოდან დაფინანსდა მოხალისეობრივ საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად.

კვლევისა და ინოვაციების სფეროში თანამშრომლობის კუთხით საქართველომ პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ის პოლიტიკის ხელშეწყობის ინსტრუმენტის რეკომენდაციების ეტაპობრივი განხორციელება გააგრძელა. ეს რეკომენდაციები შეეხებოდა საგრანტო სექტორის გამარტივებას და უნიფიცირებას, კვლევისა და ინოვაციების საბჭოს რესტრუქტურისა და განახლებას, კვლევისა და ინოვაციების სისტემის მონაცემთა ბაზის შექმნას, კვლევის პერსპექტიული სფეროების განსაზღვრა /პრიორიტეტების დადგენას და ერთობლივი კვლევისა და განვითარების წახალისებას.

საქართველოს მონაწილეობის დონე პროგრამაში „ჰორიზონტი 2020“ კვლავ მაღალი იყო. 2020 წლის 25 სექტემბრამდე, ორგანიზაციებმა საქართველოდან 53 – ჯერ მიიღეს მონაწილეობა „ჰორიზონტი 2020“ –ის ფარგლებში გრანტებით დაფინანსებულ მუშაობაში, და პირდაპირ ევროკავშირისგან 6,5 მილიონი ევროს ოდენობის თანხა მიიღეს.

ნოემბერში, ევროკომისიასა და საქართველოს ხელისუფლებას შორის დაიწყო წინასწარი მოლაპარაკებები საქართველოს ჰორიზონტ ევროპასთან ასოცირების თაობაზე. საქართველომ დაასრულა ეროვნული საგზაო რუკა მისი ინტეგრაციისათვის ევროპაში მიმდინარე კვლევებში (ERA-GE), საქართველოს სამეცნიერო სისტემის რეფორმისთვის და მისი კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელი ნაბიჯების კონსოლიდაციის გზით.

6. ფინანსური მხარდაჭერა

ასოცირების შესახებ შეთანხმების და საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების შესაბამისად, ცალკეული ქვეყნებისთვის დახმარების გაწევის ახალი ჩარჩო-პროგრამა (Single Support Framework)³⁴ 2017-2020 წლებისათვის ყურადღებას ამახვილებს ოთხ ძირითად სფეროზე: ეკონომიკური განვითარება და ბაზრის შესაძლებლობები; ინსტიტუტების გაძლიერება და კარგი მმართველობა; ტრანსპორტი, ენერჯეტიკა, გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილება; მობილურობა და ადამიანებს შორის კავშირები.

გაგრძელდა პროგრამების განხორციელება 2018 წლის საქართველოსთვის ორმხრივი შეთანხმების ფარგლებში გამოყოფილი თანხით, რომელიც მიმართული იყო ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებაზე, მათ შორის ერასმუს+ პროგრამაში საქართველოს გაზრდილ მონაწილეობაზე, ისევე როგორც ქმედებებზე სტრატეგიული კომუნიკაციის მიმართებაში. ეკონომიკური მმართველობისა და ფისკალური

³⁴ https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/ssf_georgia.pdf

ანგარიშვალდებულების ახალი პროგრამა საქართველოს სისტემას ევროკავშირის ეკონომიკური მართვის მოდელს მიუახლოვებს, მაშინ როდესაც უსაფრთხოების, ანგარიშვალდებულების და დანაშაულთან ბრძოლის ერთიანი პროგრამა კარგ მმართველობას, კანონის უზენაესობასა და საქართველოს მოქალაქეების უსაფრთხოებას ხელს შეუწყობს.

2019 წლის საქართველოსთვის ორმხრივი შეთანხმების ფარგლებში პროგრამებისთვის გამოყოფილი თანხა მიმართული იყო ადამიანის უფლებების ახალი სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაზე; სტრატეგიის მთავარი მიმართულებებია ბავშვთა უფლებების დაცვა, ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლა და დაუცველი / უმცირესობების ჯგუფების წევრების ინკლუზია. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) მეოთხე ფაზის მეშვეობით, ევროკავშირი ხელს უწყობს სურსათის უვნებლობის რეგულაციების განხორციელებას და სოფლის განვითარების მეტ მხარდაჭერას. "ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის" (EU4IntegratedTerritorialDevelopment) პროგრამა ხელს უწყობს უფრო დაბალანსებულ ტერიტორიულ განვითარებას და საქართველოს რეგიონებში ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის ახალი ცენტრების შექმნას. ამ პროგრამებში შეტანილია დამატებითი ზომები კორონავირუსის პანდემიის შედეგად წარმოქმნილ მწვავე საჭიროებებზე რეაგირების მიზნით.

რაც შეეხება 2020 წელს, აპრილ-მაისში ორმხრივი შეთანხმების ფარგლებში პროგრამებისთვის გამოყოფილი თანხა განხილვის საგანი გახდა და გადამისამართდა კოროვირუსით გამოწვეული კრიზისის უშუალო მოგვარებაზე. 2019 წლის პროგრამებისთვის გამოყოფილი პაკეტის ნაწილის და 2020 წლის პაკეტის თანხების გადამისამართების შედეგად 183 მილიონი ევროს ოდენობის გრანტების ფართო პაკეტი მიმართული იყო კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული კრიზისის პერიოდში საქართველოს დასახმარებლად.

ხელშეკრულება კოროვირუსის პანდემიის მიმართ საქართველოს მედეგობისთვის და მისი თანმდევი მედეგობის პროგრამა (87,7 მილიონი ევროს ოდენობით) - რომლებიც ევროპის გუნდის (Team Europe) რეაგირების ნაწილია - ხელს უწყობს სოციალურ-ეკონომიკურ და ჯანდაცვის სფეროებში კოროვირუსის პანდემიის უარყოფითი შედეგების შემსუბუქებას. ევროკავშირის მხარდაჭერა ასევე უზრუნველყოფს ევროკავშირთან დაკავშირებული ვალდებულებების, განსაკუთრებით ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების უწყვეტ შესრულებას, გარემოს დაცვასა და ჯანდაცვის სისტემის რეფორმაზე, აგრეთვე ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) მოთხოვნებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით.

გარდა ამისა, საქართველო ისარგებლებს დახმარებით ევროპის გუნდის (Team Europe) ინიციატივის ფარგლებში არსებული რეგიონული რეაგირების პაკეტიდან, რომელიც გამიზნულია აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის ეკონომიკის მხარდასაჭერად. ამ თანხების მიმართვა ევროკავშირის სამეზობლო საინვესტიციო პლატფორმის (NIP) მეშვეობით ხდება და მათი საშუალებით ადგილობრივ მცირე და საშუალო ბიზნესს

ექნება წვდომა ფინანსებზე ადგილობრივ ვალუტაში, რაც კრიზისის დაძლევაში დაეხმარება.

საქართველოსთვის გამიზნული მიმდინარე პროგრამები ხელს უწყობს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას, მართლმსაჯულების და საჯარო ადმინისტრირების რეფორმას, პროფესიულ განათლებას, მოთხოვნების შესაბამისი უნარების შექმნას, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებაში პოლიტიკის რეფორმას, საკვების უზნებლობას, რეგიონალურ განვითარებას და როგორც ტრანსპორტის, ენერგოეფექტურობისა და ინფრასტრუქტურის, ასევე სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას.

გარდა ამისა, საქართველოზე ვრცელდება რეგიონული პროგრამებიც, რომელთა მიზანია მცირე და საშუალო ზომის საწარმოების, ენერგეტიკის, გარემოს დაცვის, ფინანსებზე წვდომის, ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს გაფართოებისა და განვითარების, ინოვაციების, ციფრული კომპეტენციების, ტრანსპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობა (EU4Business, EU4Energy, EU4Environment, EU4ClimateChange EU4Innovation, EU4Youth, EU4Culture, EU4Dialogue and EU4Digital). საქართველო ასევე აქტიურად მონაწილეობს ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის სასაზღვრო თანამშრომლობის შავი ზღვის პროგრამაში.

ევროკავშირი სამეზობლო საინვესტიციო პლატფორმის ფარგლებში განაგრძობს ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ინიციატივების დაფინანსების ხელშეწყობას სხვადასხვა ეკონომიკურ და სოციალურ სექტორში. ამ თვალსაზრისით, შერეული ოპერაციები ხელს უწყობს ენერგოეფექტურობას საჯარო შენობებში და ასევე ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის, ტრანს-ევროპული სატრანსპორტო ქსელის (TEN-T) გასწვრივ საგზაო ტრანსპორტის, მყარი ნარჩენების, წყალმომარაგებისა და სანიტაციის და ადგილობრივი ვალუტის დაკრედიტების საკითხებზე მიმართულ პროექტებს.

საქართველო ასევე სარგებლობს ევროკავშირის მაკრო-ფინანსური დახმარებით.

2018 წელს დაწყებული მაკრო-ფინანსური დახმარების განხორციელება 2020 წლის ნოემბერში ბოლო ტრანშის გადმორიცხვით დასრულდა. კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული ახალი საგანგებო მაკრო-ფინანსური დახმარება გაიცა როგორც უფრო ფართო პაკეტის ნაწილი ევროკავშირის გაფართოების კანდიდატი და სამეზობლო ათი ქვეყნისთვის, კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური შედეგების შესარბილებლად. ამ პროგრამიდან 150 მილიონი ევრო გამოიყო საქართველოსთვის სესხების სახით უაღრესად ხელსაყრელი პირობებით, სასწრაფო, გადაუდებელი საფინანსო საჭიროებების დასაფარავად და საგადამხდელო ბალანსის მხარდასაჭერად. ამ თანხიდან პირველი ტრანში 75 მილიონი ევროს ოდენობით 2020 წლის ნოემბერში გადმოირიცხა.

გარდა ამისა, 2020 წელს საბიუჯეტო დახმარების სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში გადმორიცხულმა თანხებმა 104.5 მილიონი ევრო შეადგინა (აქედან 60 მილიონი ევრო ხელშეკრულებით კორონავირუსის პანდემიის მიმართ საქართველოს მედეგობასთან დაკავშირებით). ეს ხელს უწყობს მთავრობის ქმედებების განხორციელებას, რომელიც

კოროვირუსის პანდემიით გამოწვეული კრიზისის სანიტარული და სოციო-ეკონომიკური ზემოქმედების შემსუბუქებაზე არის მიმართული.

7. დასკვნითი შენიშვნები და სამომავლო პერსპექტივა

კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევების მიუხედავად, საქართველო ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების, წამოწყებების და ასევე მისი შესრულების ერთგული იყო. ადამიანის უფლებათა სფეროში ევროკავშირის კანონთა კრებულთან (acquis) და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა ფართოდ გრძელდებოდა. ევროკავშირი გვერდში ედგა საქართველოს და უპრეცედენტო და არსებითი ძალისხმევით კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული სანიტარული და სოციო-ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში ეხმარებოდა.

სამომავლო პერსპექტივაში, რეფორმების გატარების გამოხატული მზაობა დემოკრატიის კონსოლიდაციასა და მართლმსაჯულების სისტემასთან დაკავშირებით გადამწყვეტი იქნება ევროპის გზით მისი შემდგომი წინსვლისთვის.

პირველ რიგში, განახლებულმა სამართლებრივმა ჩარჩომ, რომლის შესახებ შეთანხმება პარტიებს შორის დიალოგის შედეგად 2020 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში მოხდა, დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად მყარი საფუძველი მოამზადა და ნაწილობრივ გაითვალისწინა ეუთო / ოდირის და ევროპის საბჭოს / ვენეციის კომისიის წინა რეკომენდაციები. თუმცა, არჩევნების ზოგადად კონკურენტულ გარემოში ჩატარების მიუხედავად, იყო რიგი ხარვეზებისა, რომელმაც პროცესის მიმართ ნდობა შეარყია და ოპოზიციურმა პარტიებმა ახალი მოწვევის პარლამენტის საწყის სხდომებს ბოიკოტი გამოუცხადა. ეს ცხადყოფს შემდგომი დემოკრატიული კონსოლიდაციის საჭიროებას, მათ შორის, ეუთო / ოდირის საბოლოო რეკომენდაციების გათვალისწინებით ინკლუზიური დიალოგის საშუალებით, 2021 წლის ოქტომბრის ადგილობრივი არჩევნების წინ. მოკლევადიან პერიოდში, საჭიროა ინკლუზიური პოლიტიკური შეთანხმება უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის, რათა შესაძლებელი გახდეს პარლამენტში მუშაობა ფართო რეფორმების დღის წესრიგის განსახორციელებლად. უფრო ფართო კონტექსტში, პოლარიზაციის განმუხტვა ქართულ პოლიტიკასა და მედიაში კვლავ გამოწვევად რჩება.

მეორეს მხრივ, მართლმსაჯულების რეფორმების მეოთხე ტალღის განხორციელება და ზოგადად მართლმსაჯულების სისტემაში ეთიკისა და მიუკერძოებლობის უმაღლესი სტანდარტების დაცვა კვლავ არსებითია 2021 წლის განმავლობაში. მნიშვნელოვანი იქნება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცედურის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა რაც შეიძლება მალე, რომ უზენაესი სასამართლოს სხვა მოსამართლეები არ დაინიშნონ არსებული სამართლებრივი ჩარჩოს საფუძველზე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემდგომი რეფორმა კვლავ პრიორიტეტია. ამბიციური ანტიკორუფციული დღის წესრიგის შექმნას კორუფციის, განსაკუთრებით მაღალი დონის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის იმპულსის აღდგენის ხელშეწყობა შეუძლია.

საქართველოსთვის ასევე მნიშვნელოვანი იქნება თავშესაფრის მოთხოვნათა მუდმივი ზრდის საკითხის პროაქტიულად გადაჭრის გაგრძელება ევროკომისიასა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობით. ამ მხრივ არსებითი იქნება „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“, კანონის ეფექტიანი და შეუფერხებელი განხორციელების უზრუნველყოფა.

და ბოლოს, უმნიშვნელოვანესია კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული კრიზისის ინკლუზიური, ეკოლოგიურად დაბალანსებული და მდგრადი დამღევის უზრუნველყოფა და შემდგომი წინსვლა ციფრული კომპეტენციების გასაძლიერებლად და ციფრული წიგნიერების ასამაღლებლად. სტრუქტურული რეფორმები გადამწყვეტი რჩება, რადგანაც მათი საშუალებით საქართველოს ეკონომიკა ნაკლებად მოწყვლადი ხდება საგარეო მოვლენებთან მიმართებაში, განსაკუთრებით კორონავირუსის პანდემიის მიმართ და საინვესტიციო კლიმატი და ვაჭრობის პოტენციალი უმჯობესდება.